განაწილებითი ურთიერთობების გააზრების საკითხები სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის პირობებში

ედუარდ კავთიძე
ეკონომიკის დოქტორი
სტუ-ს ასისტ. პროფესორი

რეზიუმე

განაწილების არასრულყოფილი სისტემების არსებობა გამოწვეულია საზოგადოების ინტელექტუალურ-კულტურული, მატერიალურ-ტექნიკური, შემეცნებითი და ზნეობრივი განვითარების შედარებით დაბალი, არასაკმარისი დონის გამო. ამ ნიადაგზე არსებობდა და არსებობს ადამიანთა ჩაგვრის ფაქტები.

სოციალისტებმა მეცნიერებაში შემოიტანეს ადამიანის ექსპლოატაციის ცნება, რომლის თანახმადაც მუშათა ექსპლოატაცია – ეს მათი შრომის ნაყოფის აუნაზღაურებლად მითვისებაა კაპიტალისტთა მიერ. სინამდვილეში კი, კაპიტალიზმის პირობებში, ადგილი აქვს ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ არა შრომით შექმნილი დოვლათის, არამედ საყოველთაო საზოგადოებრივი ფაქტორების მოქმედებით შექმნილი დოვლათის მითვისებას არსებული განაწილების წესის საფუძველზე, რაც სხვისი კუთვნილის მითვისებად და სოციალურ ჩაგვრად უნდა მივიჩნიოთ.

კაპიტალისტური სისტემის პირობებში კაპიტალისტები მხოლოდ მუშების კუთვნილს კი არ ითვისებენ, არამედ ერთმანეთსაც ართმევენ ქონებას, თუმცა გადასახადების მეშვეობით უკანაც აბრუნებენ გარკვეულ ნაწილს. შემოსავლების ასეთი მითვისება უფრო მეტად „დამნაშავე“ ეკონომიკური სისტემის ბრალია. სოციალური უსამართლობა ამ ეკონომიკური ურთიერთობებისა და საბაზრო სტიქიის მეშვეობით საყოველთაო ხასიათს იღებს. ეს ძალები საზოგადოების ყველა ფენის წინააღმდეგ შეიძლება იყოს მიმართული.

დღეისათვის, რეალურ სინამდვილეში, განაწილების არასრულყოფილი სისტემების არსებობა გამოწვეულია საზოგადოების ინტელექტუალურ-კულტურული, მატერიალურ-ტექნიკური, შემეცნებითი და ზნეობრივი განვითარების შედარებით დაბალი, არასაკმარისი დონის გამო. ამ ნიადაგზე არსებობდა და არსებობს ადამიანთა ჩაგვრის ფაქტები.

სოციალისტებმა მეცნიერებაში შემოიტანეს ადამიანის ექსპლოატაციის ცნება, რომლის თანახმადაც მუშათა ექსპლოატაცია – ეს მათი შრომის ნაყოფის აუნაზღაურებლად მითვისებაა კაპიტალისტთა მიერ. სინამდვილეში კი, კაპიტალიზმის პირობებში, ადგილი აქვს ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ არა შრომით შექმნილი დოვლათის, არამედ საყოველთაო საზოგადოებრივი ფაქტორების მოქმედებით შექმნილი დოვლათის მითვისებას არსებული განაწილების წესის საფუძველზე, რაც სხვისი კუთვნილის მითვისებად და სოციალურ ჩაგვრად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც ეს დოვლათი ობიექტურად, სამართლიანობის გათვალისწინებით მთელი საზოგადოების კუთვნილებაა, რომელზეც უფლება საზოგადოების ყველა წევრს თანაბრად აქვს.

კაპიტალისტური სისტემის პირობებში კაპიტალისტები მხოლოდ მუშების კუთვნილს კი არ ითვისებენ, არამედ ერთმანეთსაც ართმევენ ქონებას, თუმცა გადასახადების მეშვეობით უკანაც აბრუნებენ გარკვეულ ნაწილს. შემოსავლების ასეთი მითვისება უფრო მეტად „დამნაშავე“ ეკონომიკური სისტემის ბრალია, ადამიანებთან შედარებით, თუმცა ამა თუ იმ სიმდიდრეს ადამიანები აგროვებენ. სოციალური უსამართლობა ამ ეკონომიკური ურთიერთობებისა და საბაზრო სტიქიის მეშვეობით საყოველთაო ხასიათს იღებს. ეს ძალები საზოგადოების ყველა ფენის წინააღმდეგ შეიძლება იყოს მიმართული. აღსანიშნავია, რომ სტიქიის ძალები კაპიტალისტებს უფრო მეტად აგდებს ხიფათში, ვიდრე მუშებს.

სოციალისტურ სისტემას უნდა გადაეწყვიტა განაწილების სამართლიანობის პრობლემა, მაგრამ ვერ შესძლო საზოგადოების სულიერი და მატერიალური განვითარების არასაკმარისი დონის გამო. ამავე მიზეზით, ვერ შექმნა აუცილებელი ეკონომიკური სტიმულები წარმოების რაციონალიზაციისა და რესურსების ეფექტიანად გამოყენებისათვის. მან დაამკვიდრა, ერთი მხრივ, გათანაბრებითი განაწილება და, მეორე მხრივ, პოლიტიკური ძალაუფლების გაბატონება განაწილების, დოვლათის მითვისების

სფეროში, რაც იყო წარმოებისა და განაწილების ფაქტორების უგულებელყოფის ერთი ფაქტი, ხოლო მეორე ასეთი ფაქტი იყო საკუთრების, როგორც ობიექტური ფაქტორის გამორიცხვა. ყოველივე ამის შედეგად, განაწილებამ სოციალიზმის დროს მიიღო ძალადობრივი და უსამართლო ხასიათი. თავი იჩინა სოციალური ჩაგვრის ახალმა ფორმამ, რომელიც წინანდელზე მძიმე აღმოჩნდა – თანამდებობის პირები, რომლებიც განაგებდნენ საერთო ქონებას (და მის საფუძველზე განაწილების სისტემას), ადამიანთა დიდ ნაწილს უკარგავდნენ კუთვნილს. ადამიანები ვერ იღებდნენ იმას, რაც ობიექტურად ეკუთვნოდათ და ამ მხრივ სოციალიზმის დროს უარესი მდგომარეობა შეიქმნა, ვიდრე კაპიტალიზმის პირობებში, რასაც განაპირობებდა განაწილების არაოფიციალური, ე.წ. არაფორმალური ჩრდილოვანი სისტემის არსებობა, რაც მთელი საზოგადოების ცხოვრების ერთ-ერთი გამოვლინება იყო. ამრიგად, სოციალისტური სახელმწიფო შრომის ანაზღაურების მხრივ უფრო დაბალ დონეზე აღმოჩნდა, ვიდრე „ექსპლოატატორული“ სახელმწიფოები. ქვეყნის ბიუროკრატიული აპარატისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა მოსახლეობის სოციალური ჩაგვრა და შრომის ანაზღაურების დაბალი დონის შენარჩუნება დემოკრატიის შეზღუდვის პირობებში.

სოციალური ჩაგვრის სხვა ფორმები ფართოდ გვხვდებოდა ბინების, განათლების, დასვენების, მომსახურებისა და სხვა ფონდების განაწილებისას, რითაც უპირატესობა ფუნქციონერებს და სახელმწიფო მოხელეებს ენიჭებოდათ. ისინი იყენებდნენ კიდევაც ამ შესაძლებლობებს, რაც კარგადაა ცნობილი საზოგადოებისათვის. ყოველივე ეს უფრო ძნელი ასატანი იყო, ვიდრე კაპიტალისტური ჩაგვრა.

განაწილების სისტემები აღნიშნულ გარემოებათა გამო დიდ წინააღმდეგობაშია საზოგადოების უმრავლესობის ინტერესებთან და სულ უფრო მიუღებელი ხდება მათთვის. სოციალური უსამართლობის შერბილებისათვის აუცილებლობად იქცა საზოგადოების წევრთა სოციალური დაცვა და მისი თანდათანობითი განვითარება. იგი გარკვეულწილად ანეიტრალებს უსამართლო განაწილების შედეგებს და საზოგადოებას არიდებს დანგრევის საფრთხეს.

კაპიტალისტური საზოგადოება ბუნებრივი გზით მივიდა მოსახლეობის სოციალური დაცვის ინსტიტუტის შექმნამდე. კაპიტალი ნეიტრალურია ყოველგვარი ზნეობრივი და სამართლებრივი კრიტერიუმების მიმართ და მისთვის არსებობს მხოლოდ რაციონალურობის პრინციპი. კაპიტალიზმისთვის ადამიანთა სოციალური დაცვის საჭიროება არსებობს იმდენად, რამდენადაც ის აუცილებელია სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის.

კაპიტალიზმის პირობებში სოციალური დაცვის სისტემა ვითარდება და მრავალ ქვეყანაში საკმაოდ ძლიერია. ამ მხრივ ბევრმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ გადაასწრო სოციალისტურ ქვეყნებს. მაგალითად, აშშ-ში 80-იან წლებში მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების წილად მოდიოდა მთლიანი ეროვნული პროდუქტის 28.5%, მაშინ, როცა სსრკ-ში ეს წილი შეადგენდა 20%-ს (1).

სოციალური სამართლიანობის გაფართოებისაკენ მიმართული ღონისძიებები კაპიტალიზმის პირობებში სულ უფრო მეტად იკრებს ძალას და თანდათან ცვლის განაწილების არსებულ სისტემას, მინიმუმამდე დაჰყავს უსამართლობისა და არაობიექტურობის ელემენტები. განაწილების სისტემა უშვებს უკიდურეს უსამართლობებს, ხოლო შემდეგ თავად ზრუნავს ამ მანკიერებათა გამოსწორებისათვის.

სოციალიზმის დროს არსებული სოციალური გარანტიების სისტემა მნიშვნელოვნად არბილებს განაწილების უსამართლობებს და მოსახლეობას მატერიალური და სხვა პრობლემების მოგვარების გარკვეულ პირობებს უქმნის. განაწილებისადმი ამგვარი მიდგომა ამ საზოგადოების არსებობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პირობაა, რასაც დასავლელი ექსპერტებიც აღნიშნავენ. თუ მოვლენებს განვიხილავთ ერთობლიობაში, დავინახავთ, რომ კვლავ ძლიერია განაწილების ისეთი ტენდენცია, როცა ანგარიში არ ეწევა სამართლიანობას და ობიექტურობას, რაც საზოგადოების პროგრესს უპირისპირდება. აქედან გამომდინარე, მწიფდება დოვლათის ობიექტურ განაწილებაზე გადასვლის აუცილებლობაც. ეს არის არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, არამედ ზნეობრივიც, პოლიტიკურიც და მხოლოდ ერთიანობაში შეიძლება გადაწყდეს.

განაწილების კაპიტალისტური სისტემა არ ცნობს განაწილების ობიექტურობისა და სამართლიანობის საკითხს, არამედ აღიარებს იმას, რაც რეალურად არსებობს. მისი ნაკლი ისაა, რომ განაწილების ობიექტურობის საკითხი არ დგას საყოველთაო მასშტაბით. მისი ძირითადი კრიტერიუმი – არაძალადობა არაა ღრმად გაცნობიერებული, ხოლო სანამ ეს არ მოხდება, არ შედგება საზოგადოებრივი შეთანხმებაც ობიექტური განაწილების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სწორედ საზოგადოებრივი შეთანხმება განსაზღვრავს ფარული თუ უხეში ძალა-

დობის გამორიცხვას განაწილებასთან დაკავშირებით. ეს შეთანხმება გამოიხატება იმით, რომ ადამიანი უარს ამბობს იმაზე, რაც არ ეკუთვნის. როცა ადამიანთა ქცევის ამ წესს მივუახლოვდებით, მაშინ განაწილებითი ურთიერთობა მაქსიმალურად მიუახლოვდება ობიექტურობისა და სამართლიანობის მდგომარეობას.

განაწილებითი ურთიერთობების განვითარების ლოგიკამ უნდა შეცვალოს ის პირობები, რომლებიც ისტორიულად ყალიბდებოდა და დღესაც განსაზღვრავს განაწილებითი ურთიერთობების უსამართლობასა და არაობიექტურობას, რომელიც ერთ მხარეზე აგროვებს ზედმეტ სიმდიდრეს, ხოლო მეორე მხარეზე – ხელმოკლეობასა და სიღარიბეს. ამ დროს საჭიროა საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის მიზანმიმართული მოქმედება გაჭირვებული მოსახლეობის ცხოვრების უკეთ მოსაწყობად და ადამიანთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

დოვლათის არაობიექტური განაწილება შეუთავსებელია პროგრესსა და ცივილიზაციასთან იმის გამოც, რომ ის ამცირებს დოვლათის შესაქმნელად გამოყენებული რესურსების ეფექტიანობას, გონივრულობას და დაღუპვის სარფთხისაკენ მიაქანებს ადამიანებს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, აღვნიშნავთ, რომ განაწილების სრულყოფასა და განაწილებით ურთიერთობათა მოწესრიგებას ალტერნატივა არ გააჩნია, ხოლო ასეთი განაწილების კრიტერიუმები ზემოთ იყო გარკვეული – საზოგადოების ყოველი წევრი იღებს მის კუთვნილს, ე.ი. მხოლოდ იმას, რა წვლილიც შეიტანა მან თავისი შრომით მთელი დოვლათის შექმნაში, აგრეთვე იმას, რაც ეკუთვნის სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით შექმნილი დოვლათიდან.

დოვლათის განაწილების ეს წესი ის იდეალია, რომელთან მიახლოება და არსებული განაწილების დაძლევა ნიშნავს დიდ სოციალურ რევოლუციას. ეს მომავლის გარდაქმნა კაცობრიობამ უნდა განახორციელოს თავისი არსებობის ჭეშმარიტ წესთან მიახლოებისათვის.

შემოსავლების სამართლიანი და ობიექტური განაწილების განხილვა უნდა მოხდეს ორი ძირითადი პირობის – დოვლათის შექმნაში მონაწილეობისა და სოციალური სამართლიანობის მიხედვით. დოვლათის შექმნაში მონაწილე ყველა ფაქტორი თავის წილს იღებს. ეს წილი სხვადასხვაა და ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება მცირე იყოს დოვლათის შექმნაში მონაწილეობასთან შედარებით. სამართლიანობისა და ობიექტურობის კრიტერიუმი ეხება არა საერთოდ წარმოების ფაქტორებს შორის, არამედ სუბიექტებს შორის დოვლათის განაწილებას.

ობიექტური სისტემის მოთხოვნების შესაბამისად, სუბიექტების წილი დოვლათის განაწილებაში უნდა განისაზღვრებოდეს, პირველ რიგში, მათი შრომით შექმნილი დოვლათის ოდენობით. შექმნილი საზოგადოებრივი დოვლათი საყოველთაო საზოგადოებრივი პირობების ნაყოფია. იგი უნდა განაწილდეს ადამიანთა ცხოვრების მატერიალური ბაზის სრულყოფა-გაფართოებისათვის და საერთო-საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

განაწილების ასეთი წესის დროს გამოიყოფა წარმოებისა და სოციალური სფეროს განვითარება-გაფართოების ფონდი. დოვლათის დანარჩენი ნაწილი გაიყოფა მთელი საზოგადოების წევრებზე აუცილებლობისა და საჭიროების გათვალისწინებით. დოვლათის ამ ნაწილის დაახლოებით თანაბარი განაწილება საზოგადოების წევრებზე გამომდინარეობს სოციალური სამართლიანობის პრინციპებიდან.

დოვლათის განაწილებას დოვლათშემქმნელი ფაქტორებისა და სოციალური სამართლიანობის მიხედვით, განაწილების ობიექტივაციის კანონი ეწოდება. მისი ობიექტურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ითვალისწინებს ეკონომიკური ფაქტორების პირადული წვლილის შესაბამისი წილის მიღებას და მაშასადამე, ეკონომიკურ სამართლიანობას. აღსანიშნავია, რომ დოვლათის განაწილების ასეთი წესი გამორიცხავს ცალკეულ პირთა საკუთრების უზომო ზრდას და მისგან შემოსავლის მიღებას. იგი გულისხმობს თითოეული ინდივიდის მიერ შრომისა და კაპიტალის ტოლი ოდენობისათვის შემოსავლების დაახლოებით ერთნაირი ოდენობის მიღებას ყველა სფეროში.

საკითხი იმის შესახებ, უნდა შეიცვალოს თუ არა შემოსავლების განაწილების სისტემა, აგრეთვე საკითხი, რომელი ტიპის განაწილება უნდა იქნეს არჩეული მოცემულ ქვეყანაში განაწილების ცნობილი სისტემებიდან, ფილოსოფიური საკითხებია. ნათელია, რომ ეს საკითხები არის ნორმატიული ხასიათისა, მაგრამ ისინი ემყარება იმ პოლიტიკოსთა მსოფლმხედველობას, რომლებიც მსჯელობენ მისი გადაწყვეტის შესახებ. ამიტომ ნ. გრეგორი მენქიუ მიიჩნევს, რომ ამ საკითხს აქვს ნორმატიული ხასიათი, რადგან „პოლიტიკოსებმა უნდა უპასუხონ: რა უნდა მოიმოქმედოს მთავრობამ ეკონომიკურ უთანასწორობასთან დაკავშირებით?“(2). „მაგრამ იგი – აგრძელებს მენქიუ – მარტო ეკონომიკას არ ეხება. მხოლოდ ეკონომიკური ანალიზი ვერაფერს გვეტყვის იმის შესახებ, უნდა სცა-

დონ თუ არა პოლიტიკოსებმა, უფრო თანასწორი გახადონ ჩვენი საზოგადოება. ჩვენი მიგვაჩნია, რომ მთავრობის როლი შემოსავლების გადანაწილებაში ცენტრალური საკითხია, ამიტომ მას განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა სჭირდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. მალაშხია. მეტაეკონომიკა – ეკონომიკის ფილოსოფია, თბ., 1995, გვ. 351.
2. ნ. გრეგორი მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. „დიოგენე“. თბ., 2007, გვ. 419.
3. პ.სამუელსონი, ვ.ნორდჰაუსი, „ეკონომიკა“, თბილისი, 2000წ. II ნაწ. გვ. 168
4. Лори Дж. Грифит, Анна С. Оржера. Проблемы мотивации персонала в общем менеджменте. См. книгу: «Оплата по результату. Из опыта оплаты труда персонала в США». Второе издание. Под общей редакцией Питера Т. Чингоса. Издательство «Диалектика». Москва _ Санкт-Петербург _ Киев. 2004, с. 176

ISSUES OF UNDERSTANDING OF DISTRIBUTIVE RELATIONSHIPS UNDER CONDITIONS OF DIFFERENT SOCIAL ORDER

EDUARD KAVTIDZE
Doctor of economics
Professor of GTU

Summary

Relatively law and insufficient level of intellectual and cultural, material and technical, moral and cognitive development is the reason of redistribution systems' imperfection. On this basis here existed and exist examples of people exploitation.

The socialists submitted in science the concept of exploitation of individual, according to which exploitation of workers is defined as appropriation of their revenues by the capitalists. In reality, under condition of capitalism, there is not only appropriation of the goods that are created in the result of work, but also appropriation of all the goods which are the result of overall working of social factors. This situation can be evaluated as the appropriation of others property and as a social suppression.

Under the condition of capitalist economic system, capitalists not only subtract worker's property, but also take away the property from each other, although they return the part of that property by taxes. Such kind of assignment of incomes is more the fault of economic system. By such kind of economic relations and market rule social injustice becomes overall and common practice. That unjust power can be directed against the all social classes.